



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თალი



თალი თიღვის ამალლების
ეკლესია 1152

თალი, კედელში დაყოლებული ღიობის ან ორ საბრჯენს (ბოძები, სვეტები, პილონები და სხვ.) შორის მდებარე სივრცის მრუდწირული გადახურვა მალის სიგრძის, დატვირთვისა და დანიშნულების მიხედვით. თ-ს აკეთებენ ქვით, რკინაბეტონით, ლითონით, ხით. თ-ის საბრჯენ კვეთს ქუსლი ეწოდება, ხოლო მის უმაღლეს, შუა კვეთს – კლიტე. მისი მოხაზულობა სხვადასხვაგვარია: ნახევარწრიული (ყველაზე გავრცელებული სახე), ისრული (დამახასიათებელია გოტიკური არქიტექტურისათვის),

ნალისებრი (გავრცელებულია არაბული ქვეყნების არქიტექტურაში), კილისებრი, მრავალფრთიანი მცოცავი (სხვადასხვა სიმაღლის საბრჯენებზე) და სხვ. პირველად თ. (ქვისა) გამოჩნდა ძვ. აღმოსავლეთში, სადაც მშენებლობისთვის ვარგისი ხის უქონლობის გამო ვერ აკეთებდნენ დიდმალიან კოჭოვან გადახურვებს. შემდეგ თ-ს ფართოდ იყენებდნენ ანტ. რომის არქიტექტურაში (შენობები, აკვედუკები, სატრიუმფო თალები). თ. დღესაც ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან ელემენტად რჩება. ცალკე აღმართული სატრიუმფო ან შენობასთან დაკავშირებული თ. ხშირად განსაზღვრავს ანსამბლის ხასიათს.
